კვლევის პრეზენტაცია - საჯარო მმართველობის საუკეთესო ევროპული პრაქტიკა და საქართველო

2021 წლის 10 ნოემბერს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (GYLA), ევროკავშირის მხარდაჭერით, კვლევის **Ḍ□N□□ მმართველობის საუკეთესო ევროპული პრაქტიკა და საქართველო“** პრეზენტაცია გამართა.

ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის აღმასრულებელმა დირექტორმა, **გიორგი კლდიაშვილმა,**საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მართვისა და ადამიანური კაპიტალის პროგრამის გუნდის ხელმძღვანელმა, **კოლომბ დე მერსემ** და

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორმა, **ვახუშტი მენაბდემ.**

კვლევა ფარავს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის, ანგარიშვალდებულების, სახელმწიფო სერვისების მიწოდებისა და საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებებს. კვლევის მიზანს წარმოადგენდა აღნიშნული მიმართულებებით წარმატებული ევროპული ქვეყნების მოდელების შესწავლა და მათი საჯარო მმართველობის სისტემების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

კვლევის ფარგლებში ასევე გაანალიზდა საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა და ზემოაღნიშნულ მიმართულებებთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები.

Ḍ□□□□□□□□ ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით მოვამზადეთ დამატებითი რეკომენდაციები, რაც ვფიქრობთ, დაეხმარება საქართველოს მთავრობას, რომ უფრო ეფექტიანად განახორციელოს საჯარო მმართველობის რეფორმა. - □ აღნიშნა **გიორგი კლდიაშვილმა**

კვლევის პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა ანალიტიკური სტატიების კონკურსის Ϙ[illegible] მმართველობის რეფორმა საქართველოში [illegible] გამარჯვებულთა დაჯილდოება. კონკურსი მიზნად ისახავდა საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და პრობლემურ საკითხებზე დისკუსიების წახალისებას.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 30-მდე მონაწილემ, რომელთაგან საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლინდა სამი გამარჯვებული:

პირველი ადგილი: ნიკა ხომასურიძე - Ϙ[illegible] დაფინანსების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გამოწვევები საქართველოში“

მეორე ადგილი: ბაჩო ბითარი ხუროშვილი - Ϙ[illegible] პოლიტიკისა და საჯარო სამსახურის გამოწვევები საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემაში“

მესამე ადგილი: ნინო ტაგანაშვილი - Ϙ[illegible] სერვისები, როგორც სახელმწიფოს, ბიზნესსა და მოქალაქეებს შორის ინტერაქციის პირდაპირი საშუალება MY.GOV.GE-ს მაგალითზე“

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

გამარჯვებული სტატიები გამოქვეყნდება IDFI-ის ვებგვერდსა (www.IDFI.ge) და სოციალურ გვერდებზე საავტორო უფლებების დაცვით.

გაეცანით კვლევას აქ

იხილეთ პრეზენტაციის ვიდეო ჩანაწერი აქ